საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის
2005 წლის 8 ივლისის N 1889 – რს დადგენილებით

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი

პრეამბულა

წინამდებარე ოქმის მხარეები,

ადასტურებენ რა, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენება აკრძალულია და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას.

გამოთქვამენ რა რწმენას, რომ აუცილებელია შემდგომი ზომების მიღება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ მიმართული კონვენციის (შემდგომში კონვენცია) მიზნების მისაღწევად და თავისუფლდება აღკვეთილი პირების დასაცავად წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან,

მიუთითებენ რა, რომ კონვენციის მე-2 და მე-16 მუხლების მიხედვით თითოეული მხარე ვალდებულია მიიღოს ეფექტური ზომები წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით თავისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე,

აღიარებენ რა, რომ სახლმწიფოთა უპირველესი ვალდებულებაა აღნიშნული მუხლების შესრულება, და რომ თავისუფლებაღკვეთილ პირთა დაცვის გაძლიერება და მათი უფლებების პატივისცემა წარმოადგენს ყველა სახელმწიფოს საერთო მოვალეობას, და რომ საერთაშორისო აღმასრულებელი ორგანოები ხელს უწყობენ ეროვნულ დონეზე შესაბამისი ზომების გატარებას,

მიუთითებენ რა, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია განათლებისა და სხვადასხვა სახის საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, იურიდიული და სხვა ზომების გაერთიანება,

ითვალისწინებენ რა ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო კონფერენციის მიერ გაკეთებულ განაცხადს იმასთან დაკავშირებით, რომ წამების სრულად აღმოფხვრის მიზნით გატარებული ღონისძიებები პირველ რიგში კონცენტრირებულ უნდა იქნეს მის პრევენციაზე, და ასევე კონფერენციის მიწოდებას კონვენციის ფაკულტატური ოქმის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს პრევენციული სისტემის შექმნას დაკავების ადგილებში რეგულარული ვიზიტების განხორციელების მიზნით,

გამოთქვამენ რა რწმენას, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისგან თავისუფლებაღკვეთილ პირთა დაცვა შესაძლებელია უფრო ეფექტურად განხორციელდეს სასამართლოს გარეშე პრევენციული ხასიათის ისეთი ღონისძიების გზით, როგორიცაა დაკავების ადგილების რეგულარული მონახულება,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I
ზოგადი პრინციპები

მუხლი 1

წინამდებარე ოქმის მიზანია დამოუკიდებოლ საერთაშორისო და ეროვნულ ორგანოთა რეგულარული ვიზიტების დაწესება თავისუფლებაღკვეთილ პირთა დაკავების ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით.

მუხლი 2

1. წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტთან შეიქმნება წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტი (შემდგომში პრევენციის ქვეკომიტეტი), რომელიც შეასრულებს წინამდებარე ოქმით გათვალისწინებულ ფუნქციებს.

2. პრევენციის ქვეკომიტეტი თავის საქმიანობას განახორციელებს გაეროს წესდების ფარგლებში, ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და პრინციპების, ასევე გაეროს მიერ თავისუფლებააღკვეთილ პირებთან დაკავშირებით მიღებული სხვა ნორმების შესაბამისად.

3. პრევენციის ქვეკომიტეტი თავის საქმიანობაში ასევე იხელმძღვანელებს კონფიდენციალურობის, მიუკერძოებლობის, განურჩევლობის, უნივერსალურობისა და ობიექტურობის პრინციპებით.

4. პრევენციის ქვეკომიტეტი და მხარეები ითანამშრომლობენ წინამდებარე ოქმის განხორციელების მიზნით.

მუხლი 3

თითოეული მხარე ადგილობრივ დონეზე შექმნის, დანიშნავს ან აამოქმედებს ვიზიტების განმახორციელებელ ერთ ან რამდენიმე ორგანოს, წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით (შემდგომში პრევენციის ეროვნული მექანიზმი).

მუხლი 4

1. წინამდებარე ოქმის შესაბამისად და მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებული მექანიზმების საშუალებით, თითოეული მხარე თანახმაა განხორციელდეს ვიზიტები მისი იურისდიქციისა და კონტროლის ქვეშ არსებულ ნებისმიერ ადგილზე, სადაც იმყოფებიან ის პირები, რომელთაც თავისუფლება აღკვეთილი აქვთ სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ბრძანების, ან მოთხოვნის, ან თანხმობის საფუძველზე (შემდგომში დაკავების ადგილი). ასეთი ვიზიტების მიზანია აღნიშნულ პირთა დაცვის გაძლიერება წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან.

2. წინამდებარე ოქმის მიზნებისათვის, თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს ნებისმიერი ფორმით დაკავებას ან დაპატიმრებას ან პირის მოთავსებას საერთო ან ცალკე იზოლატორში, რომლის დატოვებაც პირს არ შეუძლია სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა ორგანოს ბრძანების გარეშე.

ნაწილი II
პრევენციის ქვეკომიტეტი

მუხლი 5

1. პრევენციის ქვეკომიტეტი შედგება ათი წევრისაგან. წინამდებარე ოქმის ორმოცდამეათეჯერ რატიფიცირების ან მასთან მიერთების შემდეგ, პრევენციის ქვეკომიტეტის წევრთა რაოდენობა გაიზრდება ოცდახუთამდე.

2. პრევენციის ქვეკომიტეტის წევრები უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი მორალური თვისებებით

და გააჩნდეთ პროფესიული გამოცდილება სამართალწარმოების, კერძოდ სისხლის სამართლის, სასჯელაღსრულების ან პოლიციის ორგანოთა, ან თავსუფლებაღკვეთილ პირებთან მუშაობის ამა თუ იმ სფეროში.

3. პრევენციის ქვეკომიტეტის დაკომპლექტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს თანაბარი გეოგრაფიული გადანაწილებისა და სხვადასხვა იურიდიული სისტემებისა და ცივილიზაციების წარმოდგენის პრინციპი.

4. დაკომპლექტებისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას თანაბარი გენდერული წარმომადგენლობა თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებზე დაყრდნობით.

5. პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე სახელმწიფოს ორი მოქალაქე.

6. პრევენციის ქვეკომიტეტის წევრები მოქმედებენ ინდივიდუალურად, არიან დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები და უზრუნველყოფენ პრევენციის ქვეკომიტეტის ეფექტურ მუშაობას.

მუხლი 6

1. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თითოეულ მხარეს შეუძლია დაასახელოს ორი კანდიდატი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და პასუხობენ მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მხარეები მათ მიერ დასახელებული კანდიდატების შესახებ წარმოადგენენ დეტალურ ინფორმაციას.

2. (ა) კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ წინამდებარე ოქმის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მოქალაქეობა;

(ბ) ორიდან ერთ კანდიდატს მაინც უნდა გააჩნდეს წარმდგენი მხარის მოქალაქეობა;

(გ) არ შეიძლება დასახელებულ იქნას ერთი მხარის ორ მოქალაქეზე მეტი;

(დ) ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მოქალაქის დასახელებამდე, აუცილებელია ამ მეორე მხარის თანხმობის მიღება

3. არა ნაკლებ ხუთი თვით ადრე მხარეთა სხდომის ჩატარებამდე, რომლის დროსაც გაიმართება არჩევნები, გაეროს გენერალური მდივანი წერილობით მიმართავს მხარეებს სამი თვის ვადაში თავიანთი კანდიდატურების წარმოდგენასთან დაკავშირებით. გენერალური მდივანი შეადგენს სიას, რომელშიც ანბანური რიგით განლაგდება ყველა დასახელებული კანდიდატი წარმდგენი ქვეყნის მითითებით.

მუხლი 7

1. პრევენციის ქვეკომიტეტის წევრები აირჩევიან შემდეგი წესით:

(ა) პირველ რიგში გათვალისწინებულ იქნება კანდიდატის შესაბამისობა წინამდებარე ოქმის მე-5 მუხლში მითითებულ მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან;

(ბ) თავდაპირველი არჩევნები გაიმართება წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა;

(გ) მხარეები პრევენციის ქვეკომიტეტის წევრებს აირჩევენ ფარული კენჭისყრით;

(დ) პრევენციის ქვეკომიტეტის წევრთა არჩევნები ჩატარდება გაეროს გენერალური მდივნის მიერ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მოწვეულ მხარეთა სხდომებზე. ასეთ სხდომებზე, რომელთა ქვორუმსაც შეადგენს მხარეთა ორი-მესამედი, პრევენციის ქვეკომიტეტის წევრებად აირჩევიან ის პირები, რომლებიც დააგროვებენ ხმების ყველაზე დიდ რაოდენობას და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას.

2. თუ კენჭისყრის შედეგად პრევენციის ქვეკომიტეტის წევრობისათვის საჭირო ხმების ოდენობას დააგროვებს მხარის ორი მოქალაქე, პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი გახდება ის კანდიდატი, რომელსაც უფრო მეტი ხმა აქვს მიღებული. იმ შემთხვევაში თუ ორივე მოქალაქე მიიღებს ერთი და იმავე ოდენობის ხმებს, გამოიყენება შემდეგი პროცედურა:

(ა) თუ ორი კანდიდატიდან მხოლოდ ერთი იქნა დასახელებული იმ მხარის მიერ, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს, პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი გახდება ეს მოქალაქე;

(ბ) თუ ორივე კანდიდატი დასახელებულ იქნა იმ მხარის მიერ, რომლის მოქალაქეებსაც წარმოადგენენ, ჩატარდება ცალკე ფარული კენჭისყრა, რომელიც გამოავლენს ქვეკომიტეტის წევრს;

(გ) თუ ორიდან არც ერთი კანდიდატი არ ყოფილა დასახელებული იმ მხარის მიერ, რომლის მოქალაქეებსაც ისინი წარმოადგენენ, ჩატარდება ცალკე ფარულ კენჭისყრა, რომელიც გამოავლენს ქვეკომიტეტის წევრს.

მუხლი 8

თუ პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი გარდაიცვალა ან გადადგა, ან რაიმე მიზეზის გამო აღარ შეუძლია თავის ფუნქციების შესრულება, ამ წევრის წარმდგენი მხარე დაასახელებს სხვა პირს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და პასუხობს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოხოვნებს, და რომელიც შეასრულებს თავის ფუნქციებს მხარეთა მომდევნო სხდომის ჩატარებამდე, მხარეთა უმრავლესობის თანხმობით. ასეთი თანხმობა ივარაუდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეთა ნახევარი ან უფრო მეტი გამოთქვამს საწინააღმდეგო აზრს გაეროს გენერალური მდივნის მიერ ასეთ დანიშვნასთან დაკავშირებით მათთვის ინფორმაციის მიწოდებიდან ექვსი კვირის განმავლობაში.

მუხლი 9

პრევენციის ქვეკომიტეტის წევრები აირჩევიან ოთხი წლის ვადით. განმეორებითი არჩევა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, ხელახალი ნომინაციის შემთხვევაში. პირველი არჩევნების შედეგად არჩეულ წევრთა ნახევარს ქვეკომიტეტში სამსახურის ვადა უმთავრდება ორი წლის შემდეგ. პირველი არჩევნების დამთავრებისთანავე, ეს წევრები შეირჩევიან კენჭისყრით მე-7 მუხლის 1(დ) პუნქტში მითითებული სხდომის თავმჯდომარის მიერ.

მუხლი 10

1. პრევენციის ქვეკომიტეტი თავის თანამშრომლებს ირჩევს ორი წლის ვადით. ეს თანამშრომლები შეიძლება არჩეულ იქნან ხელმეორედ.

2. პრევენციის ქვეკომიტეტი შეიმუშავებს თავის საპროცედურო წესებს. ამ წესების მიხედვით:

(ა) ქვორუმს შეადგენს წევრთა ნახევარს პლუს ერთი წევრი;

(ბ) პრევენციის ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით;

(გ) პრევენციის ქვეკომიტეტის სხდომები დახურულია.

3. პრევენციის ქვეკომიტეტის პირველ სხდომას იწვევს გაეროს გენერალური მდივანი. პირველი სხდომის შემდეგ, პრევენციის ქვეკომიტეტის სხდომები გკიმართება საპოცედურო წესებით გათვალისწინებული პერიოდულობით. პრევენციის ქვეკომიტეტი და წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი ერთდროულ სხდომებს გამართავენ არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

ნაწილი III
პრევენციის ქვეკომიტეტის მანდატი

მუხლი 11

პრევენციის ქვეკომიტეტი:

(ა) მოინახულებს მე-4 მუხლში მითითებულ ადგილებს და წარუდგენს რეკომენდაციებს მხარეებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვასთან დაკავშირებით;

(ბ) პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან დაკავშირებით:

(i) კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას გაუწევს მხარეებს ასეთი მექანიზმების შექმნასათან დაკავშირებულ საკითხებში;

(ii) შეინარჩუნებს პირდაპირ და საჭიროების შემთხვევაში კონფიდენციალურ ურთიერთობას

პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან, უზრუნველყოფს მათ სწავლებითა და ტექნიკური დახმარებით მათი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით;

(iii) კონსულტაციას და დახმარებას გაუწევს მათ საჭიროებათა შეფასებასა და იმ საშუალებათა განსაზღვრაში, რომელთა გამოყენება აუცილებელია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან თავისუფლება აღკვეთილ პირთა დაცვის გაძლიერების მიზნით;

(iv) რეკომენდაციებსა და შენიშვნებს წარუდგენს მხარეებს პრევენციის ეროვნული მექანიზმების შესაძლებლობებისა და მანდატის გაფართოების მიზნით, რაც უზრუნველყოფს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილებას.

(გ) წამების თვიდან აცილების მიზნით, თანამშრომლებს გაეროს შესაბამის ორგანოებთან და მექანიზმებთან, ასევე საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ ინსტიტუტებთან ან ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან თითოეული პირის დაცვის გაძლიერების სფეროში.

მუხლი 12

პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ მე-11 მუხლით გათვალისწინებული მანდატის შესრულების მიზნით, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას:

(ა)მიიღონ პრევენციის ქვეკომიტეტი თავიანთ ტერიტორიაზე და მისცეს მას დაკავების ადგილებში შესვლის შესაძლებლობა წინამდებარე ოქმის მე-4 მუხლის შესაბამისად;

(ბ)მიაწოდონ პრევენციის ქვეკომიტეტს შესაბამისი ინფორმაცია იმ ზომების განსაზღვრის მიზნით, რომელთა მიღებაც საჭიროა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან პირთა დაცვის გაძლიერების სფეროში;

(გ) ხელი შეუწყოს კონტაქტების დამყარებას პრევენციის ქვეკომიტეტსა და პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს შორის;

(დ) განიხილონ პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები და გამართონ ნასთან დიალოგი იმპლემენტაციის შესაძლო ზომების გატარებასთან დაკავშირებით.

მუხლი 13

1. მე-11 მუხლით გათვალისწინებული მანდატის შესრულების მიზნით, პრევენციის ქვეკომიტეტი კენჭისყრის საფუძველზე შეიმუშავებს მხარეთა ქვეყნებში რეგულარული ვიზიტების განხორციელების პროგრამას.

2. კონსულტაციების შემდეგ, პრევენციის ქვეკომიტეტი გააცნობს მხარეებს ამ პროგრამას, რათა მათ გაჭიანურების გარეშე შეძლონ ვიზიტებთან დაკავშირებული პრაქტიკული ღონისძიებების გატარება.

3.ვიზიტებში მონაწილეობას მიიღებს პრევენციის ქვეკომიტეტის არა ნაკლებ ორი წევრი. საჭიროების შემთხვევაში, ამ წევრებს შეიძლება თან ახლდნენ მაღალი პროფესიული ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი ექსპერტები, რომელთა შერჩევა მოხდება მხარეთა, ასევე გაეროს ადამიანის უფლებაეთა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისისა და გაეროს საერთაშორისო დანაშაულთა პრევენციის ცენტრის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე შედგენილ ექსპერტთა სიიდან. ასეთი სიის შედგენის მიზნით, დაინტერესებული მხარეები დაასახელებენ არა უმეტეს ხუთ ექსპერტს. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია უარი თქვას რომელიმე კონკრეტული ექსპერტის ვიზიტში ჩართვაზე, რის შემდეგაც პრევენციის ქვეკომიტეტი ასახელებს სხვა ექსპერტის კანდიდატურას.

4. იმ შემთხვევაში თუ პრევენციის კომიტეტი ჩათვლის საჭიროდ, მას შეუძლია წარმოადგინოს წინადადება რეგულარული ვიზიტის შემდეგ საკონტროლო ვიზიტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 14

1. პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ თავისი მანდატის შესრულების მიზნით, მხარეები

უზრუნველყოფენ მას:

(ა) იმ ინფორმაციით შეუზღუდავი სარგებლობის უფლებით, რომელიც ასახავს მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დაკავების ადგილებში მყოფ თავისუფლებააღკვეთილ პირთა და მათი დაკავების ადგილების რაოდენობასა და მათ ადგილმდებარეობას;

(ბ) იმ ინფორმაციით შეუზღუდავი სარგებლობის უფლებით, რომელიც შეეხება ამ პირთა მიმართ მოპყრობას და ასევე მათი დაკავების პირობებს;

(გ) ქვემოთ მოცემული მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკავების, დაკავების ადგილებსა და იქ არსებულ შენობა-ნაგებობებში შეუზღუდავი შესვლის უფლებით;

(დ)მოწმეების გარეშე, პირადად ან თარჯიმნის დახმარებით, თავისუფლებააღკვეთილ პირებთან, ასევე ნებისმიერ იმ პირებთან, ასევე ნებისმიერ იმ პირებთან შეუძლიათ პრევენციის ქვეკომიტეტისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;

(ე) მოსანახულებელი ადგილების ან პირების საკუთარი შეხედულებისამებრ არჩევის უფლებით.

2. ვიზიტი დაკავების რომელიმე ადგილზე შესაძლებელია არ განხორციელდეს ეროვნული თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე დაკავების ადგილზე ბუნებრივი კატასტროფის და ისეთი სერიოზული არეულობის შემთხვევაში, რომელსაც შეუძლია გარკვეული ვადით შეაფერხოს ვიზიტის განხორციელება. ექსტრემალური მდგომარეობის არსებობა არ შეიძლება მხარის მიერ დასახელდეს როგორც ვიზიტისგან თავის შეკავების მიზეზი.

მუხლი 15

არც ერთი ორგანო ან თანამდებობის პირი არ გამოიყენებს რაიმე სანქციას ან არ გასცემს სანქციის გამოყენების ბრძანებას ან ნებართვას რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ, მათ მიერ პრევენციის ქვეკომიტეტისათვის ან მისი წარმომადგენლებისათვის ნამდვილი თუ ყალბი ინფორმაციის მიწოდების გამო, ასევე არ შეზღუდავს ასეთ პირს ან ორგანიზაციას რაიმე სხვა წესით.

მუხლი 16

1. პრევენციის ქვეკომიტეტი თავის რეკომენდაციებს და შენიშვნებს კონდიფენციალური წესით გადასცემს მხარეს, და საჭიროების შემთხვევაში, პრევენციის ეროვნულ მექანიზმს.

2. პრევენციის ქვეკომიტეტი მხარის მოთხოვნით გამოაქვეყნებს თავის ანგარიშს ამ მხარის მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ შენიშვნასთან ერთად. თუ მხარე საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის ანგარიშის რომელიმე ნაწილს, პრევენციის ქვეკომიტეტს შეუძლია ასეთი ანგარიშის გამოქვეყნება როგორც მთლიანად, ისე მაწილობრივ.

პირადი მონაცემები არ ექვემდებარება გამოქვეყნებას დაინტერესებული პირის მკაფიოდ ფორმულირებული თანხმობის გარეშე.

3. პრევენციის ქვეკომიტეტი წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტს წარუდგენს თავის საქმიანობის ამსახველ ყოველწლიურ ანგარიშს.

4. თუ მხარე უარს იტყვის პრევენციის ქვეკომიტეტთან თანამშრომლობაზე მე-12 და მე-14 მუხლების მიხედვით, ან მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ზომების მიღებაზე პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად, წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტს, პრევენციის ქვეკომიტეტის მოთხოვნით და თავისი წევრების ხმათა უმრავლესობით, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო განცხადების გაკეთების ან პრევენციის ქვეკომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნების შესახებ, მას შემდეგ რაც მისთვის ცნობილი გახდება მხარის მოსაზრებები.

ნაწილი IV
პრევენციის ეროვნული მექანიზმი

მუხლი 17

წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან, ან მისი რატიფიკაციიდან ან მასთან მიერთებიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, თითოეული მხარე დანიშნავს ან შექმნის პრევენციის ერთ ან რამდენიმე

დამოუკიდებელ ეროვნულ მექანიზმს ადგილობრივ დონეზე წამების თავიდან აცილების მიზნით. დეცენტრალიზებულ ერთეულებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნა შეუძლიათ წინამდებარე ოქმის მიზნების განსახორციელებლად, თუ ამ მექანიზმების საქმიანობა შესაბამისობაშია ოქმის დებულებებთან.

მუხლი 18

1. მხარეები უზრუნველყოფენ როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმების ფუნქციურ დამოუკიდებლობას, ასევე მათი პერსონალის დამოუკიდებლობასაც.

2. მხარეები გაატარებენ აუცილებლად ზომებს, რათა უზრუნველყონ პრევენციის ეროვნული მექანიზმების ექსპერტთა პროფესიონალიზმი და შესაბამისი უნარ-ჩვევები. მხარეები ასევე უზრუნველყოფენ გენდერული ბალანსის შენარჩუნებას და ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ და სხვა უმცირესობათა სათანადოდ წარმოდგენას.

3. მხარეები უზრუნველყოფენ პრევენციის ეროვნული მექანიზმების ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების მოპოვებას.

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმების შექმნისას, მხარეები გაითვალისწინებენ ეროვნული ინსტიტუტების ძირითად პრინციპებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გაძლიერების სფეროში.

მუხლი 19

პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს ენიჭებთ შემდეგ უფლებამოსილებათა მინიმუმი:

(ა) მე-4 მუხლში მითითებულ დაკავების ადგილებში მყოფ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ ქცევის წესების რეგულარული შემოწმება, მათი დაცვის გაძლიერების მიზნით წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან;

(ბ) შესაბამისი ორგანოებისათვის რეკომენდაციების წარდგენა თავისუფლებააღკვეთილ პირთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესების, ასევე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, გაეროს შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით.

(გ) არსებულ კანონმდებლობასთან ან კანონპროექტებთან დაკავშირებით წინადადებისა და შენიშვნების წარდგენა.

მუხლი 20

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ თავიანთი მანდატის განხორციელების მიზნით, წინამდებარე ოქმის მხარეები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ ისინი:

(ა) იმ ინფორმაციით სარგებლობის უფლებით, რომელიც ასახავს მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დაკავების ადგილებში მყოფ თავისუფლებააღკვეთილ პირთა და ასევე მათი დაკავების ადგილების რაოდენობასა და მათ ადგილმდებარეობას;

(ბ) იმ ინფორმაციით სარგებლობის უფლებით, რომელიც შეეხება ამ პირთა მიმართ მოპყრობის და ასევე მათი დაკავების პირობებს;

(გ) დაკავების ადგილებსა და იქ არსებულ შენობა-ნაგებობებში შეუზღუდავი შესვლის უფლებით;

(დ) მოწმეების გარეშე, პირადად ან თარჯიმნის დახმარებით, თავისუფლებააღკვეთილ პირებთან, ასევე ნებისმიერ იმ პირებთან კერძო საუბრის გამართვის შესაძლებლობით, რომლებსაც შეუძლიათ პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;

(ე) მოსანახულებელი ადგილების ან პირების საკუთარი შეხედულებისამებრ არჩევის უფლებით;

(ვ) პრევენციის ქვეკომიტეტთან ურთიერთობის, მისთვის ინფორმაციის წარდგენის და მასთან შეხვედრის უფლებით.

მუხლი 21

1. არც ერთი ორგანო ან თანამდებობის პირი არ გამოიყენებს რაიმე სანქციას ან არ გასცემს

სანქციის გამოყენების ბრძანებას ან ნებართვას რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ, მათ მიერ პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის ნამდვილი თუ ყალბი ინფორმაციის მიწოდების გამო, ასევე არ შეზღუდავს ასეთ პირს ან ორგანიზაციას რაიმე სხვა წესით.

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შეგროვებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ ექვემდებარება გამჟღავნებას. პირადი მონაცემები არ გამოქვეყნდება დაინტერესებული მხარის მკაფიოდ ფორმულირებული თანხმობის გარეშე.

მუხლი 22

დაინტერესებული მხარის კომპეტენტური ორგანოები შეისწავლიან პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოებულ რეკომენდაციებს და გამართავს მასთან დიალოგს იმპლემენტაციის შესაძლო ზომების გატარებასთან დაკავშირებით.

მუხლი 23

წინამდებარე ოქმის მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გამოაქვეყნონ და გაავრცელონ პრევენციის ეროვნული მექანიზმების წლიური ანგარიშები.

ნაწილი V
განაცხადი

მუხლი 24

1. რატიფიკაციის შემდეგ, მხარეებს შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი წინამდებარე ოქმის III ან IV ნაწილებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა გადავადებასთან დაკავშირებით.

2. ამგვარი გადავადება ძალაშია არა უმეტეს სამი წლის ვადით. მხარის მიერ შესაბამისი დასაბუთების წარმოდგენისა და პრევენციის ქვეკომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ, წამების წანააღმდეგ ბრძოლის კომიტეტს შეუძლია ამ ვადის გაგრძელება კიდევ ორი წლით.

ნაწილი VI
ფინანსური დებულებები

მუხლი 25

1.წინამდებარე ოქმის განხორციელების დროს პრევენციის ქვეკომიტეტისათვის წარმოშობილ ხარჯებს დაფარავს გაერო.

2. გაეროს გენერალური მდივანი პრევენციის ქვეკომიტეტს უზრუნველყოფს საჭირო პერსონალითა და აპარატურით, წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით.

მუხლი 26

1. გენერალური ასამბლეის პროცედურის შესაბამისად იქმნება სპეციალური ფონდი, რომლის მართვაც განხორციელდება გაეროს ფინანსური ნორმებისა და დებულებების მიხედვით, და რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დაფინანსებას ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე ვიზიტის შემდეგ პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმების სასწავლო პროგრამების განხორციელების მიზნით.

2. სპეციალური ფონდის ფინანსურ რესურსებს შესაძლებელია ქმნიდეს მთავროებების, მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა კერძო ან სახელმწიფო დაწესებულებათა ნებაყოფლობითი შემოწირულობები.

ნაწილი VII
საბოლოო დებულებები

მუხლი 27

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას.

2. წინამდებარე ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას ნებისმიერი იმ სახელმწიფოს მიერ, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება ან მუერთდა მას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა გენერალურ მდივანს.

3. წინამდებარე ოქმი ღიაა მისაერთებლად ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება ან მიუერთდა მას.

4. მიერთება ხორციელდება მიერთების აქტის გაეროს გენერალური მდივნისათვის გადაცემის გზით.

5. გაეროს გენერალური მდივანი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის გადაცემის შესახებ აცნობებს ყველა იმ სახელწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა წინამდებარე ოქმს ან მიუერთდა მას.

მუხლი 28

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შევა გაეროს გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის შესანახად გადაცემიდან ოცდამეათე დღეს.

2. თითოეული იმ მხარისათვის, რომელმაც მოახდინა წინამდებარე ოქმის რატიფიცირება ან მიუერთდა მას გაეროს გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის გადაცემის შემდეგ, წინამდებარე ოქმი ძალაში შევა ამ მხარის სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 29

წინამდებარე ოქმის დებულებები ვრცელდება ფედერალურ სახელმწიფოთა ყველა სუბიექტზე ყოველგვარი შეზღუდვების ან გამონაკლისების გარეშე.

მუხლი 30

წინამდებარე ოქმი არ ითვალისწინებს დათქმების გაკეთებას.

მუხლი 31

წინამდებარე ოქმის დებულებები არ ზღუდავს მხარეთა მიერ რომელიმე რეგიონული კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს დაკავების ადგილებში ვიზიტების ჩატარების სისტემის შექმნას. პრევენციის ქვეკომიტეტი და რეგიონული კონვენციების შესაბამისად შქმნილი ორგანოები გამართავენ კონსულტაციებს და ითანამშრომლობენ ერთმანეთთან ერთი და იგივე ზომების თავიდან აცილებისა და წინამდებარე ოქმის მიზნების ეფექტურად განხორციელების მიზნით.

მუხლი 32

წინამდებარე ოქმის დებულებები არ ზღუდავს ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს ოთხი კონვენციისა და 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმების ხელმომწერი სახელმწიფოების ვალდებულებებს, ასევე ნებისმიერი მხარის უფლებას ნება დართოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მოინახულოს დაკავების ადგილები ისეთ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებული არ არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით.

მუხლი 33

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე ოქმის დენონსირება გაეროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით, რომელიც აცნობებს ამის შესახებ წინამდებარე ოქმისა და კონვენციის მონაწილე სხვა მხარეებს. დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ერთ წლის შემდეგ.

2. ასეთი დენონსაცია არ ათავისუფლებს მხარეს წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული

ვალდებულებებისაგან იმ ქმედებებთან ან გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე, ან იმ ზომებთან დაკავშირებით, რომელთა გატარების შესახებ ამ მხარის მიმართ პრევენციის ქვეკომიტეტმა მიიღო ან შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება. დენონსაცია ასევე არ აფერხებს პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ ისეთი საკითხების განხილვას, რომლებიც უკვე განიხილებოდა დენონსაციის ძალაში შესვლამდე.

3. წინამდებარე ოქმის დენონსირების ძალაში შესვლის შემდგომ, პრევენციის ქვეკომიტეტი აღარ დაიწყებს რაიმე ახალი საკითხის განხილვას იმ მხარესთან მიმართებაში, რომელმაც მოახდინა ოქმის დენონსირება.

მუხლი 34

1. წინამდებარე ოქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია გაეროს გენერალურ მდივანს წარუდგინოს წინადადება წინამდებარე ოქმში შესწორების შეტანასთან დაკავშირებით. გაეროს გენერალური მდივანი შემოთავაზებული შესწორების ტექსტს გააცნობს წინამდებარე ოქმის მონაწილე მხარეებს, რომლებმაც უნდა აცნობონ გენერალურ მდივანს უჭერენ თუ არა მხარს მხარეთა კონფერენციის მოწვევას წინადადების განხილვისა და კენჭისყრის მიზნით. იმ შემთხვევაში თუ ასეთი შეტყობინების გაგზავნიდან ოთხი თვის ვადაში მხარეთა არანაკლებ ერთი მესამედი მხარს დაუჭერს ასეთი კონფერენციის ჩატარებას, გენერალური მდივანი მოიწვევს კონფერენციას გაეროს ეგიდით. გაეროს გენერალური მდივანი ნებისმიერ იმ შესწორებას, რომელიც მიღებულია კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეთა ორი მესამედის უმრავლესობით, დასამტკიცებლად გადასცემს ყველა მხარეს.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს წინამდებარე ოქმის მონაწილე მხარეთა ორი მესამედის უმრავლესობა შესაბამისი კონსტიტუციური წარმოების გზით.

3. ძალაში შესვლის შემდეგ შესწორებები სავალდებულო იქნება იმ მხარეებისათვის, რომლებმაც დაამტკიცეს ეს შესწორებები, ხოლო სხვა მხარეებისათვის სავალდებულო იქნება წინამდებარე ოქმის დებულებები და მათ მიერ ადრე დამტკიცებული შესწორებები.

მუხლი 35

პრევენციის ქვეკომიტეტისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმების წევრებს ენიჭებათ ის პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებიც აუცილებელია მათ მიერ თავიანთი ფუნქციების დამოუკიდებლად შესრულებისათვის. პრევენციის ქვეკომიტეტის წევრებს ენიჭებათ პრველეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ გაეროს 1946 წლის 13 თებერვლის კონვენციით გათვალისწინებული პრივილეგიები და იმუნიტეტები, ამ კონვენციის 23-ე კარის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 36

მხარის ტერიტორიაზე ვიზიტით ყოფნის დროს, პრევენციის ქვეკომიტეტის წევრები, წინამდებარე ოქმის დებულებებისა და მიზნების, ასევე მათთვის მინიჭებული პრველეგიებისა და იმუნიტეტების შეუზღუდავად:

(ა) დაიცავენ იმ ქვეყნის კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, სადაც იმყოფებიან ვიზიტით;

(ბ) თავს შეიკავებენ ნებისმიერი ისეთი ქმედების ან საქმიანობისაგან, რომელიც არ შეესაბამება მათი მოვალეობების მიუკერძოებელი და ინტერნაციონალურ ხასიათს.

მუხლი 37

1. წინამდებარე ოქმი, რომლის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები თანაბრად აუთენტურია, შესანახად გადაეცემა გაეროს გენერალურ მდივანს.

2. გაეროს გენერალური მდივანი წინამდებარე ოქმის დამოწმებულ ასლებს გადასცემს ყველა სახელმწიფოს.